სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 2 (4506) ● 11 თებერვალი ● 2015 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

თბილისის 139-ე საჯარო სკოლაში

ბევრს ზრუნავენ ნიჭიერთა დაკვალიანებისათვის

სარედაქციო შესავალი: შარშან ამ სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა – ერუდირებული, ენერგიული, ელეგანტური, გამოცდილი, ბიოლოგიის ჩინებული სპეციალისტი.

ქეთევან ტურიაშვილი მანამდე თბილისის 105-ე საჯარო სკოლას დირექტორობდა. იქაური გამოცდილებიდან გადმოყვა ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებები: ორგანიზატორული ნიჭი, სიახლისა და ინიციატივის, შემოქმედებითი წვის უნარი.

მისი ეს თვისებები პედაგოგებსაც გადაედო. ერთობლივად, შეხმატკბილებულად შრომობენ სასწავლო-აღზმრდელობითი პროცესის გასააქტიურებლად, ამის კვალობაზე კი მაღალ შედეგებზე არიან ორიენტირებულნი.

ყველაზე მთავარი მაინც მოსწავლეებთან მუშაობაა, მათი შემეცნებითი უნარებისა და ნიჭის განვითარებისთვის ზრუნვაა. საგნობრივი კათედრების და კლასის დამრიგებლების ძალისხმევა აქეთკენ არის მიმართული. და აჰა, „ჭამენ პირველ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ მისნი ძენი!“

რედაქციაში IX[1] კლასის დამრიგებლის, მათემატიკის ჩინებული მასწავლებლის **მერი ჩიქოვანისა** და თავად დირექტორის **ქეთევან ტურიაშვილის** წერილი მივიღეთ, საიდანაც მიხვდებით სკოლაში „ათოსანი“, ნიჭიერი ახალგაზრდების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!“ და როგორ უწყობენ პედაგოგები ხელს ამ წარჩინებულ მოსწავლეებს უნარებისა და ნიჭიერების გაფურჩქვნა-განვითარებაში. უცვლელად გთავაზობთ ამ წერილს.

* * *

გიორგი ხურციძით ვამაყობთ

სკოლა მუდამ იყო ჩემთვის სითბოსა და სიამოვნების მიღების ადგილი, მაგრამ დამერწმუნეთ, გიორგიმ იგი ჩემთვის უფრო ძვირფასი გახადა.

– რა დედამ გშობაო! – ეს სიტყვები ამ მოსწავლის სამკაულია, მისი ყოველდღიურობის ამსახველი ფრაგმენტებია, სიწმინდისა და მისი ლამაზი მომავლის საწინდარია.

დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო ამ ღვთისნიერ ახალგაზრდაზე, ასაკით პატარა, მაგრამ ბუნებითა და შესაძლებლობებით დიდ, ზრდილ, კულტურულ, გულისხმიერ, სათნო, კეთილ, მოსიყვარულე, შრომისმოყვარე, ყურადღებიან, კეთილშობილ, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებაზე, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული როგორც მისი უფლებები, ისე – მოვალეობებიც.

იგი საოცრად არის შემკული ყველა ღირსებით, რაც უფალს ადამიანთა ურთიერთობისთვის უბოძებია. გულისხმიერი, უზომოდ მოსიყვარულე, სათუთი გულის და საჭიროების დროს ყველას დამხმარეა. კომუნიკაბელური, უფროსების მიმართ თავაზიანი, მუდამ მზადყოფნაშია მათი თხოვნა თუ დავალება პირნათლად შეასრულოს. დამიჯერეთ, ამ პატარა ბიჭს სხვისდამი სიამოვნება და ყურადღება თავისად გაუხდია. მისი ყველა პედაგოგი ამაყობს იმით, რომ გიორგის ასწავლის.

გიორგი გამორჩეულია სწავლისადმი მიდგომით, აქვს რეალობისა და თვითშეფასების განსაკუთრებული ნიჭი საკუთარი თავისადმი მომთხოვნია. აქვს ანალიტიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი. პატარარაობიდან გამოირჩეოდა ტექნოლოგიების მიმართ დიდი ინტერესით. ათოსანი მოსწავლე, უპირატესობას არ ანიჭებს არცერთ საგანს, თითოეულს ეკიდება მთელი გულისყურითა და მონდომებით.

სისტემატურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, მუდამ წარმატებასა და გამარჯვებას აღწევს.

2013-14 სასწავლო წელს გიორგი ჩაერთო განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ ბლოგების კონკურსში, ჯგუფთან ერთად გახდა მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი, მიიღო დიპლომი და ფასიანი საჩუქარი.

მიმდინარე სასწავლო წელს მან მონაწილეობა მიიღო კონკურსში „Word skills Georgia“, რომლის მთავარი მიზანი იყო ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა. ასაკობრივი კატეგორია მერყეობდა 22 წლამდე. გიორგი კი მათ შორის ყველაზე პატარა იყო. ორი დღის განმავლობაში საშუალება მიეცა ეჩვენებინა თავისი შესაძლებლობები პროგრამირებისა და ვებ-დიზაინის მხრივ. ნამუშევრებს ამოწმებდა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მაღალი რანგის სპეციალისტებისგან იყო დაკომპლექტებული. ამ ძლიერ კონკურსში გიორგიმ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ გიორგის გადასცა თასი, მედალი და ფასიანი საჩუქრები.

აი, რა შეუძლია გააკეთოს მონდომებამ, კეთილსინდისიერმა შრომამ და ერთსულოვნებამ. ვიმეორებ, დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო გიორგის სიკეთეზე მის სათუთ გულზე, მიზანდასახულობასა და შრომისმოყვარეობაზე! და, რაც მთავარია, მის ხალას ნ იჭზე.

უფალმა უმრავლოს საქართველოს მსგავსი ახალგაზრდები!

მერი ჩიქოვანი
IX[1] კლასის დამრიგებელი

სრულად ვეთანხმები ქალბატონ მერის, რომელმაც ბევრ ახალგაზრდას გადასცა, აათვისებინა თავისი ცოდნა და გამოცდილება.

ახლახან გიორგი ხურციძემ შექმნა სკოლის ვებ-გვერდი და სკოლის თვითმმართველობასთან, ღვაწლმოსილ პედაგოგებთან ერთად ინტენსიურად ვმუშაობთ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დასანერგად სასკოლო სივრცეში.

წარმატებებს ვუსურვებ გიორგის და 139-ე სკოლის მოსწავლეებს.

ქეთევან ტურიაშვილი,
თბილისის 139-ე საჯარო სკოლის დირექტორი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

სულ სამიოდე წელია დედაქალაქის მეორე საჯარო სკოლას უნარიანად უძღვება ახალგაზრდა შემოქმედი დირექტორი **გალაკტიონ მინდიაშვილი** და ყველაფერს უკვე დაატყო საკუთარი ხელწერა.

მას აქტიურად უდგანან მხარში გამოცდილი მოადგილე **თეონა არველაძე** და ძლიერი შრომისმოყვარე პედაგოგები.

დირექტორმა კარგად იცის საგნობრივ-მეთოდური კათედრების ფასი და ყოველმხრივ ხელს უწყობს, ახალისებს მათ აქტიურ, სწავლების მაღალი ხარისხისთვის გამიზნულ საქმიანობას.

ამჯერად ქართული ენა-ლიტერატურის კათედრის მუშაობაზე შევჩერდებით. კათედრის ხელმძღვანელს, ნიჭიერ, ერუდირებულ პედაგოგს **თინათინ ცომაიას** კოლეგებთან: **ნინო ჩოჩელთან, ვალიდა ღრუბელაშვილთან, თეონა არველაძესთან** და **ლალი ჯაფარიძესთან** შეხმატკბილებულად საინტერესო მუშაობა აქვს გაჩაღებული. ახალგაზრდა მასწავლებელი ბევრი სიახლის წამომწყები და ინიციატორია.

ერთ მხატვრულ ღონისძიებაზე გვინდა მოგითხროთ, რომელიც სკოლაში სალონურ-თეატრალური შეხვედრების აღორძინების წარმატებულ ცდას წარმოადგენს.

* * *

მეთერთმეტეკლასელებმა უკვე შეისწავლეს ვრცელი ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „არსენა მარაბდელი“, გაეცნენ XIX საუკუნის რომანტიკოსთა „ლიტერატურულ სალონს“, მის დანიშნულებასა და მნიშვნელობას. ეპოქისათვის დამახასიათებელი დეტალების გათვალისწინებით მოამზადეს ლიტერატურული კომპოზიცია „**სტუმრად ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში**“.

გრიგოლ ორბელიანი, მისი და ეფემია და პატარა ტატო დროულად მოვიდნენ. მალევე მოჰყვნენ მაყაშვილების, ვაჩნაძეებისა და ორბელიანების ქალიშვილები. მათი მშვენიერება დიდებულად ერწყმის სცენის უზადო გაფორმებას. ამაში კი უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი სკოლის მეათეკლასელმა **რუსუდან კავსაძემ**.

დეკორაციების მოწყობაში დიდი დახმარება გაგვიწიეს სკოლის ბიბლიოთეკარმა **ელისო ფიცხელაურმა** და მატერიალურ-ტექნიკურმა მენეჯერმა **გელა ზოზირაშვილმა**.

თავადის მოურავი, **გელა გელაძე** და მოახლე **ალინა აგაჯანოვა** ბუნებრივად შერწყმიან წარმოდგენის მსვლელობას.

თავადის ქალიშვილები გრიგოლ ორბელიანს ეკეკლუცებიან. ნინო და სოფიო აივნიდან სტუმრებს ათვალიერებენ, თითქოს თავიანთი გულის სწორების პოვნას ლამობენო. ტატოს დედა,

ლიტერატურული სალონის ხიბლი

მწერლობა მეგობრობის ჩაუფეხელი ხიდია

ჩვენი მთავარი მიზანი იყო მაყურებლისთვის წარმოგვედგინა ლიტერატურული სალონის დანიშნულება, გაგვეცოცხლებინა საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი.

სააქტო დარბაზში მაყურებელი მოუთმენლად ელის სპექტაკლის დაწყებას.

ისმის ცხენების ფლოქვების ხმა. სტუმრების მოლოდინში სცენაზე ამაყად გადმომდგარა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე. პოეტის ოჯახი რუსულ-ევროპულ წესს მისდევს. ჩოხაში გამოწყობილი **რევაზ კინწურაშვილი** შესანიშნავად ასრულებს თავადის როლს. მას გვერდს უმშვენებს ულამაზესი მეუღლე, სალომე (**ნინო თედიაშვილი**). საუცხოო თეთრ, ეროვნულ კაბაში

გამოწყობილი ნინო, თვალნათლივ წარმოგვიჩენს ქართველი ქალის კდემამოსილებას.

აქვე არიან უმშვენიერესი ასულები: ეკატერინე და სოფიო.

სტუმრები ჭიშკარს მოადგნენ. თვალწარმტაცი ქალბატონები ნარნარად მოსეირნობენ.

ეფემია, მაყაშვილების ქალთან **ეთერ რუხაძესთან** ერთად თვალს ადევნებს პატარების თამაშსა და სიცილ-კისკისს. ამ დროს პატარა ტატოს სცენაზე იხმობენ ბიძამისის ლექსის წასაკითხად. საღამოს მშვენება იყო სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები. **მანანა ალუდაურმა** არაჩვეულებრივად გაითავისა ეფემიას როლი.

გელა ბერიძემ მორცხვად, მაგრამ მაინც კარგად შეასრულა „დაკისრებული მოვალეობა“ და ემოციურად წაიკითხა ლექსი.

სცენაზე, ბლომად იყვნენ პატარა მსახიობები. **ელენე გიორგბელიძემ** მხატვრულად წაიკითხა ლექსი. **სალომე თედიაშვილმაც** ტოლი არ დაუდო სხვებს.

შორიდან მუსიკის ჰანგები სმენას ატკბობდა. ბავშვებმა ფიგურული „ვალსი“ შეასრულეს. **მარიამ ფოფხაძემ**, **მირანდა სორდიამ**, **ნინო კურგენიანმა** და **ეთერ რუხაძემ** სიყვარულს რამდენიმე სადღეგრძელო მიუძღვნეს.

ომარ გუგულაშვილმა გრიგოლ ორბელიანის

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ლოტოტრონში გამარჯვებული დირექტორის ოინები

სკოლა ცოცხალი ორგანიზმივითაა და მასში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს (კარგსაც და ცუდსაც), განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ, მით უმეტეს დღეს, როდესაც პრიორიტეტულადაა მიჩნეული ფუნდამენტური ფასეულობები – ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ცხადია, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია ყველა მოქალაქისათვის. ეს, უწინარეს ყოვლისა, საგანმანათლებლო სფეროს მუშაკებზე ითქმის.

რუსთავის მე-15 საჯარო სკოლაში მომხდარმა ერთმა სკანდალურმა ამბავმა მშობელთა საჩივრის სახით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომდეც მიაღწია. ზემოაღნიშნული სკოლის III კლასში, სადაც ახალგაზრდა კვალიფიციური პედაგოგი **ნონა ლაზარაშვილი** ატარებდა გაკვეთილებს, მიმდინარე სასწავლო წლის 17 სექტემბერს სკოლის დირექტორმა, **ბელა მარტიაშვილმა** მათემატიკის გაკვეთილების ჩასატარებლად მოულოდნელად სხვა მასწავლებელი – **მანანა თავაძე** შეიყვანა. ქალბატონ **ნონა ლაზარაშვილს** კი განუმარტა, რომ ახალი მასწავლებელი კლასში აპრობაციის გასავლელად მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში ჩაატარებდა გაკვეთილებს, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდებოდა იგი თავის მოსწავლეებს.

პედაგოგის შეცვლამ მაშინვე გამოიწვია მშობელთა აღშფოთება. მერე კი, როდესაც დირექტორმა თავისი დაპირება არ შეასრულა, უკმაყოფილო მშობლების ერთმა ჯგუფმა დახმარებისთვის რუსთავის განათლების რესურს-ცენტრის ხელმძღვანელს, **თამარ ხეჩიკაშვილს** მიმართა და მოითხოვა, III კლასში მათემატიკის გაკვეთილები ისევ ნონა მასწავლებელს ჩაეტარებინა,

როგორც ცნობილია, სკოლებში საგნობრივი საათები აგვისტოში ნაწილდება, ამავე პერიოდში დგება ცხრილებიც. 15 და 16 სექტემბერს მათემატიკის გაკვეთილები ნონა მასწავლებელმა ჩაატარა. იგი მაღალკვალიფიციური პედაგოგია, რომელმაც მაღალი შედეგებით დაამთავრა წინა სასწავლო წელი, მათ შორის, მათემატიკის სწავლების თვალსაზრისითაც. საგულისხმოა, რომ მოსწავლეებს ძალიან უყვართ თავიანთი მასწავლებელი.

საყურადღებოა ისიც, რომ ერთი პედაგოგი სხვა პედაგოგით სრულიად არაობიექტურად, სამეურვეო საბჭოს გვერდის ავლით შეიცვალა. ამასთანავე, ტყუილი გამოდგა დირექტორის დანაპირებიც. ბუნებრივია, ამას თვით **ნონა ლაზარაშვილის** პროტესტიც მოჰყვა.

ვითარება კიდევ უფრო მეტად დაიძაბა იმის გამოც, რომ, როგორც მშობლები ამბობენ, ახლადდანიშნული მასწავლებელი გაკვეთილებს ჯეროვან დონეზე ვერ ატარებდა. უკმაყოფილონი იყვნენ მოზარდებიც. დირექტორი კონფლიქტის განსამუხტად და ბავშვებთან მოსათათბირებლად კლასში შევიდა, **ნონა ლაზარაშვილს** კი სთხოვა გაკვეთილის მიმდინარეობისას კლასიდან გარეთ გასულიყო, თვითონ კი შეეცადა, ბავშვებთან ე.წ. დიპლომატიური მოლაპარაკება გაემართა, საჩუქრებსაც შეჰპირდა, თუ ისინი მათემატიკის ახალ მასწავლებელთან ურთიერთობას ააწყობდნენ.

ამ ამბავმა მშობლების ყურამდე მიაღწია. იმათაც აღარ დააყოვნეს და აღნიშნული ფაქტის შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცნობეს, ამასთანავე, ახალდანიშნულ მასწავლებელს, **მანანა თავაძეს** იმასაც საყვედურობდნენ, რომ იგი გაკვეთილზე მობილურით საუბრობს, სასწავლო პროცესს მიზნობრივად ვერ იყენებს და არ ფლობს საგნის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს.

დავა დღემდე გრძელდება, დირექტორი კი პასუხს არ სცემს მშობლების სამართლიან კითხვებზე: 1. რატომ შეუცვალა III კლასელებს მათემატიკის მასწავლებელი; 2. თუ აუცილებელი იყო პედაგოგის შეცვლა, რატომ არ გააკეთა ეს სასწავლო წლის დასაწყისშივე; 3. რატომ არ ითვალისწინებს მშობლების პრეტენზიებს და არ აწესებს მონიტორინგს III კლასში მათემატიკის გაკვეთილებზე; 4. თუ აუცილებელი იყო კადრების განახლება, პირველ რიგში, პარალელურ კლასებში რატომ არ ჩაანაცვლა პენსიონერი პედაგოგები ახალგაზრდა მასწავლებლებით?

ქალბატონი **ბელა მარტიაშვილი** რუსთავის მე-15 საჯარო სკოლას ლოტოტრონის წესით არჩევის დღიდან მართავს, კმაყოფილია თავისი საქმიანობის შედეგებით, მიაჩნია, რომ სკოლას კარგად უძღვება და პრობლემებიც არ აქვს, არადა, ფაქტი სახეზეა: სექტემბრიდან დღემდე ვერ დაარეგულირა ურთიერთობა, თუნდაც, „უსაფუძვლოდ» მომჩივან მშობლებთან და მასწავლებელთან, ვერ დაარწმუნა ისინი, რომ თავის დროზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო. პირიქით, მშობლების მწვავე რეაქციას ასე უპასუხა: მე არც სამინისტროსი მეშინია და არც არავისი, სადაც გსურთ, იქ მიჩივლეთო.

საკითხის გასარკვევად მის კაბინეტში შესულს პირადად მე, საკუთარი თავის გასამართლებლად საკლასო ჟურნალი მიჩვენა სექტემბრიდანვე დაფიქსირებული მასწავლებლების გვარ-სახელებით, თუმცა, სკოლის ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის ცნობილია, რომ საკლასო ჟურნალები სასწავლო წლის დაწყების პირველივე დღიდან არ ივსება.

ამ სკანდალის შემსწრე III კლასელები კი ბევრ რამეს უკვე დაეჭვებით უყურებენ. მათ თვალწინ არცთუ საინტერესო სასკოლო ისტორია განვითარდა, რომლის უნებური მონაწილენი თვითონაც არიან. ზოგიერთი გულუბრყვილო მოზარდი კი დირექტორისგან შეპირებულ კალმებს, ფანქრებსა და წიგნაკებსაც დღემდე მოელის საჩუქრად და ვერც გაამტყუნებ ვინმეს – გარიგება ხომ გარიგებაა!

ფაქტია, რომ დირექტორს, როგორც სკოლის მენეჯერსა და ლიდერს, არ აღმოაჩნდა რესურსი, ბოლომდე დაერწმუნებინა მოსწავლე, მშობელი თუ მასწავლებელი თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, არც ადამიანებთან გონივრული ურთიერთობის ნიჭი აღმოაჩნდა, რომ საკუთარი თავი მშობლებზე მაღლა არ დაეყენებინა, არ ეტარებინა ისინი რუსთავიდან თბილისში და აქ, სამინისტროში არ ეძია სამართალი.

ლოტოტრონში გამარჯვებულ და მეორე სადირექტორო არჩევნების კონკურსგავლილ დირექტორებს სასკოლო დრამატული ეპიზოდების მართვა სამინისტროში მშობელთა ჩივილის გარეშეც უნდა შეეძლოთ, თუნდაც, ადგილობრივი რესურს-ცენტრების ჩარევით მაინც.

ახლა მშობლები სამინისტროს ჩარევას არა მხოლოდ ამ საკითხთან მიმართებაში, არამედ სხვა ფაქტების მიმართაც ითხოვენ. ისე რომ, **ბელა მარტიაშვილი** სამეურვეო საბჭოს წევრებთან ერთად მზად უნდა იყოს მშობელთა ნებისმიერი პრეტენზიის მოსასმენად და, რაღა თქმა უნდა, ნებისმიერი მონიტორინგის მოლოდინშიც.

დაბოლოს, რატომ დუმს სკოლის სამეურვეო საბჭო, მათაც ხომ მიმართეს მშობლებმა განცხადებით და პასუხი ვერ მიიღეს. იქნებ, იმიტომ, რომ **მანანა თავაძე** სამეურვეო საბჭოს წევრია და ცხრა წლის განმავლობაში უცვლელად მეურვეობს სასკოლო ფინასებს?

ლია მარტაშვილი,
ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი.

***P.S.** აღნიშნულ ფაქტზე გთავაზობთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხს.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 15 00069628 02/02/2015

მოქალაქე ნინო წათიძეს
პირადი ნომერი: 35001039005
მის: ქ. რუსთავი, VIII მ/რ, კორ. №8, ბინა №19
ტელ: (+995) 599 78 35 14

ქალბატონო ნინო,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 29 იანვრის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №60367, 269.01.2015) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების საფუძველზე გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ თქვენი განცხადებების შესაწავლის შესახებ შედგენილია N1501151430 დასკვნა, რომელიც ეხება სსიპ - ქალაქ რუსთავის საჯარო სკოლას. მასში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა გამოავლინა საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N80/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის დარღვევის ფაქტი. დასკვნაში ასევე დაფიქსირდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. როგორც თქვენთვის ცნობილია გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 16 იანვრის №20587 წერილით სსიპ -ქალაქ-რუსთავის №15 საჯარო სკოლას მიეცა მითითება, მოახდინოს რეაგირება დასკვნაში დაფიქსირებულ დარღვევებზე და განხორციელებული ქმედებების შესახებ წარმოადგინოს ანგარიში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში, ერთი თვის ვადაში.

აქვე გაცნობებთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის რეგულაციებით დადგენილ ღონისძიებებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგელებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 31 89 40

მნერლობა მეგობრობის ჩაუტეხელი ხიდია

პირველი გვერდიდან

როლში ომახიანად წაგვიკითხა მასპინძლის ლექსი ისე, რომ ნინოსთვის თვალი არ მოუშორებია.

ამ დროს ალაყაფს მოადგა ძვირფასი სტუმარი ალექსანდრე პუშკინი დასთან, ოლგა პუშკინასთან ერთად, რომელიც **ანასტასია ახნაზაროვამ** განასახიერა და სიყრმის მეგობარ, **დავით გვალიასთან** ერთად მასპინძელს წარუდგა. მაყურებელი აღაფრთოვანა პუშკინის, იგივე **დანიელ დავიდოვის** რუსულმა მეტყველებამ. წარმოდგენის მცირედი ნაწილი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. **დავით გვალიამ** წაიკითხა ალექსანდრე პუშკინის ლექსი „На холмах Грузии“, რომელმაც რუსული ენის პედაგოგების აღფრთოვანება გამოიწვია. სტუმრის პატივსაცემად ნინო ჭავჭავაძემ (**ანი გეჯაძემ**) პიანინოზე კომპოზიცია ოსტატურად შეგვისრულა.

ეკატერინეს ტატო ეტრფის, სოფიოს (**ანი კავსაძეს**) – ტატოს მეგობარი ლევანი (**გიორგი გაბედავა**). ნინოს კი თავის საქმრო ალექსანდრე გრიბოედოვი გრძნობებით აღსავსე წერილს უკითხავს. გრიბოედოვის (**რიჩარდ ჩანგელია**) მიერ წაკითხულმა „ტანო ტატანომ“ მაყურებელი მოხიბლა. **ანი გეჯაძე** შეუდარებელი იყო ნინოს როლში. სოფიო და ლევანი სატრფიალო შაირებს ამბობენ.

აი, ტატო (**ალექსი კომისაროვი**) და უმშვენიერესი ეკატერინე (**მერი შელია**). ტატო გადასცემს ეკატერინეს თავისი ლექსების კრებულს.

ეს სცენა მთავრდება წყვილების მიერ შესრულებული ულამაზესი ვალსით.

მარიამ ორბელიანი განასახიერა **ნინო გურგენიანმა**. ასევე მოწონება დაიმსახურეს: **ნინო თედიაშვილის**, **ნატალი კურტანიძის**, **რევაზ კინწურაშვილის** როლებმა.

მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა ამ სალონის ხელმძღვანელი, ჩინებული პედაგოგი **თინა ცომაია**. წარმოდგენას მაღალი შეფასება მისცა სკოლის დირექტორმა **გალაკტიონ მინდიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ XI[1] კლასი ხშირად ატარებს მსგავს საღამოებს, სადაც იკვეთება მოსწავლეთა სამსახიობო ნიჭი. დიდია კლასის დამრიგებლის **თინა ცომაიას** წვლილი ამ საქმეში.

შეგვაქეს პედაგოგებმა, დირექტორის მოადგილემ **თეონა არველაძემ** და

შემდგომი წარმატებები გვისურვეს.

დამსწრე მოსწავლეებიც აღფრთოვანებულნი დარჩნენ ნანახით. ასევე მოიხიბლნენ მშობლები: **ლეილა დაიური**, **ინგა ალაფიშვილი**, **ნატალია ინანიშვილი**, **გიორგი თედიაშვილი** და სხვები.

სკოლის დირექცია მადლობას უხდის **მარიამ გაჩეჩილაძეს**, რომელმაც მსახიობების გრიმსა და ფოტოგადაღებაზე სათანადოდ იზრუნა. ქართულის პედაგოგებმა **ლალი ჯაფარიძემ**, **ვალიდა ღრუბელაშვილმა** და **ნინო ჩოჩელმა** ძალიან შეაქეს წარმოდგენის მონაწილეები.

ეს დღე დაუვიწყარია მთელი სკოლისთვის.

მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები ასეთი ემოციური ღონისძიებებით კვლავ ბევრჯერ გაგვახარებენ.

მანანა ალუდაური,
მერი შელია

სარედაქციო მონაწერი:
აუცილებელია მიძინებული და მივიწყებული ეს ძვირფასი, მეტად საჭირო და სასარგებლო ტრადიცია ყველა სკოლაში აღორძინდეს.

ნომრის სტუმარია ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა „ფესვები“

შესანიშნავი შედეგები შემოქმედებითი შრომისა

დიდ დიღომში მდებარეობს შესანისნავი სკოლა, სიმბოლური სახელწოდებით ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა „ფესვები“. მომხიბლავია მისი იერსახე. შეხვალთ და ღვთის ლოცვად მოგევლინებათ „მამაო ჩვენოსა“ და ტკბილმშობლიური გალობის სანეტარო ხმები. ინფრასტრუქტურა იმდენად მოწესრიგებულია, ამის აღწერით თავს არ შეგაწყენთ. ერთს კი გეტყვით: ეს აკურატულობა, სტენდები, თვალსაჩინოება, აკადემიური გარემო – ყველაფერი სასწავლო განწყობილებას ქმნის და სამეცადინო მოტივაციას ამაღლებს.

სკოლის ყველაზე დიდი ღირსება ის გახლავთ, რომ აქ ძლიერი, პროფესიონალი პედაგოგები მოღვაწეობენ, რაც თავისთავად მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სწავლების, მისი ხარისხის ამაღლების გარანტიას იძლევა. სკოლა „ფესვები“ ახლო მომავალში ოცი წლისა გახდება და საიუბილეო

განწყობილება წინასწარ იგრძნობა.

„ფესვებს“ დაარსებიდან უძღვება მისი დამფუძნებელი, გამოცდილი პედაგოგი, ტკბილმოუბარი და კოლეგიალური დირექტორი **მანანა გვირჯიშვილი**. იგი პირველი დღიდანვე რუდუნებით, მუშა ფუტკარივით იღვწის „არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი“. მკითხველმა მინდა მეტი იცოდეს მის შესახებ.იგი ღვაწლმოსილი პედაგოგია, ხაშურის რაიონის გომის საშუალო სკოლისა და ცხინვალის პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის 186-ე საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, იგი მრავალშვილიანი ოჯახის დედა და ბებიაა.

„ფესვების “ დაარსების დღიდან სკოლის სული და გულია დირექტორის მოადგილე ფიზიკის წარმატებული მასწავლებელი **მარინე ხოჭოლავა**. მის შესახებ ცოტა მეტის თქმა გვინდა – მარინე დიდი პედაგოგიური ოჯახის ღირსეული წარმომადგენელია. მისი მამა **ზურაბ ხოჭოლავა** დიდხანს გახლდათ სენაკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, სახელოვანი ჟიული შარტავას მამის **კალე შარტავას** საქმის გამგრძელებელი. მარინეს და **დარეჯან ხოჭოლავა** კი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორი გახლავთ.

ასევე თბილი სიტყვები უნდა ვთქვათ დირექტორის მეორე მოადგი.ლის, გამოცდილი პედაგოგის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **ირინე ქულიჩიშვილის** შესახებ.

გულთბილად შეგვხვდა დირექტორის თანაშემწე, სასწავლო ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკის გამგე **ნანა ინასარიძე**, რომელიც ბევრს მუშაობს მოსწავლეებთან, წიგნის სიყვარულს უნერგავს მათ.

კარგ, ერუდირებულ პედაგოგებს გზადაგზა შევხვდებით, მაგრამ პირველ რიგში საჭიროა საგნობრივი კათედრების გაცნობა. შემოქმედებითი გატაცებით უძღვებიან: ქართული ენის კათედრას – **ნანა გვილავა**, მათემატიკისას – **მიხეილ ნიკოლეიშვილი**, უცხო ენებისას – **მარინე მირიანაშვილი**, დაწყებითებისას – **ვენერი კაპანაძე** და საბუნებისმეტყველო საგნებისას **თამარ ჯარიაშვილი**. ყოველ კათედრაზე საინტერესო სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა იგრძნობა და შესაბამისად მაღალი შედეგები სახეზეა.

ზემოთ ვთქვი, რომ სწავლა-აღზრდისათვის კომფორტული პირობებია შექმნილიო. დიახ, სკოლას ემსახურება კეთილმოწყობილი ბუფეტი. იქ გახანგრძლივებული სწავლების 120 მოსწავლე სრულფასოვნად იკვებება. ბუფეტზეა ნათქვამი: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“. მოსწავლეებს ემსახურება კომფორტული ტრანსპორტი და, რაც ყველაზე მთავარია, პროფესიონალი ექიმი **ფიქრია მამულაშვილი-ბახია.** იგი ბევრს ზრუნავს მოსწავლეების ჯანმრთელობაზე.

სკოლის ცხოვრებაში იმდენი მნიშვნელოვანი, საინტერესო რამ ხდება, რომ მის აღნუსხვას ჩვენი გაზეთი ვერ აუვა, ამიტომ თვალსაჩინო მომენტებს მოკლედ უნდა შევეხოთ.

დაარსების დღიდან „ფესვების“ პედაგოგებსა და მოსწავლეებს ლოცავს სათნოებითა და სიკეთით გამორჩეული მოძღვარი ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა **ლუკა სუპატაშვილი**. სკოლას ამშვენებს რელიგიის კუთხე.

„ფესვები“ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო საგანამანათლებლო სისტემაში, შემოქმედებითი კავშირი აქვს დამყარებული ავსტრიის რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან – ერთობლივად ახორციელებენ გაცვლით პროგრამებს. შარშან ავსტრიული მხარის დაფინანსებით გადამზადდა გერმანული ენის პედაგოგი **თამარ თადიაშვილი**. წელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რამდენიმე კადრის დახელოვნებას.მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა.

სკოლის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას უნარიანად განაგებს გამოცდილი მენეჯერი **თამარ სხილაძე**. სკოლასთან არსებობს საბავშვო ბაღი – ოთხი ჯგუფისაგან შემდგარი, რომელსაც ხელმძღვანელობენ შრომისმოყვარე, გამოცდილი სპეციალისტები **რუსუდან ზუბიაშვილი** და **ქეთევან გვირჯიშვილი**. ეს უმშვენიერესი ბაღი „ფესვების“ მომავალი შევსება და რეზერვია.

სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ნაყოფიერი თანამშრომლობის ნიმუშია მემორანდუმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრასთან, სწავლების ხარისხის ამაღლებაში მეცნიერები ეხმარებიან მოსწავლეებს, მათ პედაგოგებს, ფიზიკის კათედრის პროფესორის **დავით სონღულაშვილის** მიერ შექმნილი ვირტუალური ლაბორატორიის პროგრამები აქ, ფიზიკის გაკვეთილებზე ინერგება. ამ პროგრამას კი ეფექტიანად ახორციელებს უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრა საინჟინრო ფიზიკის აკადემიური დოქტორის **დარეჯან ხოჭოლავას** ხელმძღვანელობით.

„ფესვებში“ მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მიღწეულ წარმატებებზე ბევრია სათქმელი. დიდია რიცხვი წარჩინებულთა, როგორც იტყვიან, „ათოსანი“ მოსწავლეებისა. ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების კანდიდატებიც საკმაოდ არიან, ვუსურვოთ მათ ბევრი წარმატება.

სკოლის ცხოვრება აღსავსეა ხალისიანი ღონისძიებებით, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განმავითარებელი კონფერენციებით, კონკურსებით. უხვად არიან გამარჯვებული, სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი მოსწავლეები, ეწყობა სასწავლო ექსკურსიები, მხატვრული ღონისძიებები...

ნაყოფიერად არის გაშლილი საწრეო მუშაობა, ის ხომ მოსწავლეებში შემეცნებითი უნარ-ჩვევების გაღრმავება-განმტკიცებას უწყობს ხელს. პოპულარულია ჭადრაკის წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს **ალექსანდრე სტეფანიანი**, ინგლისურის წრე (**თამარ თადიაშვილი**), რუსული ენის წრე (**ლერა მანუკოვა**).

საბუნებისმეტყველო კათედრის ინიციატივით ჩამოყალიბებულია მეევნეხეობა - მეღვინეობის კლუბი, რომლის საქმიანობაში ინტენსიურია მოსწავლეთა ჩართულობა.

შემოქმედებითად იღვწის ქართულის კათედრა, შემეცნებითი და მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები აქ ხშირად ტარდება, ლიტერატურულ კლუბს გატაცებით უძღვება ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებელი **დარეჯან კვანჭიანი**. მის მიერ ორგანიზებული შეხვედრა მწერალ **გურამ დოჩანაშვილთან** მოსწავლეებისთვის დაუვიწყარი იქნება, ასევე საინტერესო და დაუვიწყარია მწერალ **გია არგანაშვილთან** შეხვედრა, განსაკუთრებით ამაღელვებელი და ემოციური იყო პოეტ ტერენტი გრანელის პოეზიის საღამო, სადაც მოწვეული ჰყავდათ პოეტის შემოქმედების მკვლევარი პოეტი-მოძღვარი მამა **პეტრე კვარაცხელია**.

ირგვლივ მიმოიხედავთ და დიპლომების, სიგელების, თასების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!“ აი, ფეხბურთელთა მიერ მოპოვებული თასები, აგრარული უნივერსიტეტის ჯილდო – „ფესვების“ მინი ფეხბურთის ნაკრებს I-ლი ადგილისათვის. აი, საპატრიარქოს და ქართული უნივერსიტეტის ჯილდოები. მასობრივად არიან ჩართულნი მოსწავლეები ოლიმპიადებში, კონფერენცია- კონკურსებში. გამარჯვებულთა ყულაბას ამდიდრებს ოლიმპიადებში მონაწილეთა მიერ (ინგლისური, მათემატიკა, ქართული) მოპოვებული ჯილდოები. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში გვასახელეს და II ტურში გავიდნენ: **თამთა თოჩხუა** (მე-11 კლასი), **რატი მენაფირე**, **მაკა ბუჩუნტელი**. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

და ყველაფერი ეს ხომ ჩვენი ერუდირებული, გამოცდილი, ძლიერი პედაგოგების მოსწავლეებთან თავდადებული, „ოფლგადამდინარე“ მუშაობის ოსტატურად ჩატარებული გაკვეთილების, აგრეთვე სხვა ღონისძიებების ტკბილი ნაყოფია.

მიმდინარე სასწავლო წელს ბევრი მიზანი და ამოცანა აქვთ „ფესვების“ პედაგოგებს დასახული. გვჯერა, **მანანა გვირჯიშვილის** ხელმძღვანელობით ისინი სასწავლო შემოდგომაზე (ივნისში) წიწილებს (წარმატებებს) უხვად დაითვლიან.

მოგვიანებით, მაგრამ მაინც ახალ წელს **მუხრან მაჭავარიანის** ოპტიმისტური სტრიქონებით გილოცავთ:

„ახალი წელია..... თოვლიც გვესალმება ციდან.

– ცრემლები ?!

– ცრემლებზე ბოდიში !

– ღიმილი ?!

– ღიმილი რამდენიც გინდა!“

ახალ-ახალ გამარჯვებებს გისურვებთ „ფესვების“ მოსწავლეებო და პედაგოგებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

კერძო სკოლის დიდი სიკეთე

„გერგეტი“ ცოდნის მწვერვალებს იპყრობს

* * *

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია კერძო სკოლა - **„გერგეტი“**, რომელიც დაარსდა 2007 წელს თბილისში. სკოლის დამფუძნებელი წარმოშობით იყო გერგეტიდან და სახელიც სწორედ აქედან შეერჩა. აქედან გამომდინარე, სკოლას სისტემატური ურთიერთობა აქვს „გერგეტის“ წმინდა ტაძართან, მასწავლებლები თუ მოსწავლეები ხშირად ხვდებიან გერგეტის ტაძრის მეუფეებს, აწერინებენ ხატებს და გადასცემენ ტაძარს. ეს ტრადიცია სკოლას დაარსების დღიდან თან სდევს.

სკოლის დამფუძნებელი ქალბატონი **ლიკა ქოიავა** ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სკოლა ყოველთვის იყოს მოწოდების სიმაღლეზე, გამორჩეული თავისი იმიჯით, ავტორიტეტით და წარმატებებით. **ლიკა ქოიავამ** 1987 წელს დაამთავრა თბილისის 155-ე საჯარო სკოლა, შემდგე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების და კრედიტის ფაკულტეტი, ამასთან გადამზადება მიიღო დაწყებით სპეციალობაზე და

სერთიფიცირებული პედაგოგია მათემატიკაში. იგი ადრე იყო სკოლა **„მთიების“** დირექტორი.

არანაკლები წვლილი მიუძღვის სკოლის წარმატებებში მის დირექტორს ქალბატონ **ლინა ხარაზიშვილს**. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის 154-ე საჯარო სკოლა, შემდგე თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწავლობდა მედიცინის და ბიოლოგიის ფაკულტეტზე, ბიოქიმიის სპეციალობით, არის ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. 2008 წლამდე იყო უნივერსიტეტში ბიოქიმიის კათედრაზე მეცნიერ-თანამშრომელი, კითხულობდა ლექციებს და თავის მაქსიმუმს ყოველთვის აკეთებდა ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმეში. მას შემდეგ, რაც გადმოვიდა ამ სკოლაში, 2008 წლიდან, ისევ დაუღალავი შრომით უძღვება იმ საქმეს, რასაც წლების მანძილზე ემსახურებოდა. ლინას ხელმძღვანელობით ერთ გუნდად შეკრული სკოლის პედაგოგიური კოლექტივი უმაღლეს დონეზე ართმევს თავს მომავალი თაობის აღზდრა-განათლების საქმეს.

სკოლის დამფუძნებელთან და დირექტორთან ერთად წარმატებათა მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებს ქალბატონი **ნანა მელქაძე**. იგი გახლავთ დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ასევე აღსანიშნავია დაწყებითი საფეხურის სასწავლო ნაწილის გამგის – **ხათუნა რეხვიაშვილის** და საშუალო და საბაზო საფეხურის ხელმძღვანელის ქალბატონ **ეკა ბენდელიანის** გამოცდილება, შრომა, ძალისხმევა იმისთვის, რომ სკოლას ყავდეს თაობათა ძლიერი ცვლა.

სკოლის პედაგოგიურ გუნდში ირიცხება 42 პედაგოგი და სწავლობს 280 მოსწავლე. სკოლა მოწინავეთა რიგებშია. მიღწევებია ყველა სფეროში: სპორტში, ხელოვნებაში, კულტურაში და რაც ძირითადი და უმთავრესია, ცოდნის დაუფლებაში. შემოქმედი პედაგოგები მუდამ აღწევენ, რომ მოსწავლეებიც ისეთივე ძლიერები იყვნენ, როგორიც შეეფერება თვით სკოლის სახელს. აღსანიშნავია ის, რომ შარშან 38 კურსდამთავრებულთაგან ყველამ ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. მათგან 2 იყო ოქროს და 2 ვერცხლის მედალოსანი. ამ სტატისტიკით უკვე ნათელია, თუ რაოდენ გულისხმიერი პედაგოგიური კოლექტივი ყავს „გერგეტს“ და რა ეფექტიანად მუშაობენ მასწავლებლები.

მინდა დავასახელო გამორჩეულ პედაგოგთა არასრული სია, რომლებიც გატაცებით იღწვიან ცოდნის ამ ტაძარში: **ნანა მელქაძე, მიხეილ ფრუიძე, იზა ჟამუტაშვილი, სოფიო მაისაია, ოლიკო ჯაფარიდი, ქეთევან კიკნაძე, ირმა მოდებაძე, ელენე შენგელია, სალომე აბუთიძე, თამარ მოსეშვილი, იზო გაგუა, მაია ტაბატაძე, ირმა ფურცელაძე, ლია მებუკე, ნანა გორგიშელი, ნანა ბაბუნაშვილი, სოფიო ეგუტიძე, ინგა გურაბანიძე, სონიკო ახალკაციშვილი.** თუ ვინმე გამომრჩა, ბოდიშს ვუხდი.

აქვე მინდა დავასახელო მათი აღზრდილი მოსწავლეებიც, რომლებიც სასახელონი, მისაბაძები და სამაგალითონი არიან. მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით გამოირჩევიან: **ნატალი გოგინაშვილი, მარიამ სამხარაძე, სოფიკო ექსეულიძე, ანა კუჭავა, ნატა გოგია, სალომე მელიქიშვილი, თათა ბაბუნაშვილი, გიორგი კობახიძე, ლაშა ბედენაშვილი, თენგიზ ნადირაძე, ნოკა კობახიძე, ამირან მჭედლიშვილი, მამია ქვარიანი, ნინო ხუციშვილი** და სხვები. ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება.

სკოლაში ფუნქციონირებს 5 კათედრა, ესენია: ქართული ენისა და ლიტერატურის რომლის თავმჯდომარე გახლავთ **ქეთევან კიკნაძე**, ტექნიკურ მეცნიერებათა კათედრა, ხელმძღვანელი – **სონიკო ახალკაციშვილი**, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, ხელმძღვანელი **მაია ტაბატაძე**, უცხო ენების კათედრა – თავმჯომარე **ნანა გორგიშელი**, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა – ხელმძღვანელი **სოფო ეგუტიძე**. ამ კათედრების ეფექტიან მუშაობაზე ხომ დიდადაა დამოკიდებული განათლების ხარისხი. თითოეული მათგანი კი წარმატებით ართმევს თავს თავის მოწოდებას და სწავლების პროცესი ხდება უფრო ხალისიანი და ხარისხიანი. ამის კვალობაზე შედეგებიც თვალსაჩინოა.

სკოლის ცხოვრების გამოცოცხლება-გახალისებას ემსახურება ეროვნული ოლიმპიადები. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული ამ ღონიძიებებში და არაერთხელ არაერთი წარმატება მოუპოვებიათ. ოლიმპიადებში აქტიურობით გამოირჩევიან **ლუკა მიკუჩაძე, ნიკოლოზ სახვაძე, მეგი ლარცვლიანი, თეონა ბეროზაშვილი, გიორგი ჯოხაძე, საბა კიკვიძე, თინათინ ჩირიკაშვილი.** მათ ბევრჯერ ასახელეს სკოლა და თავიანთი პედაგოგები.

სკოლაში სასწავლო პროცესთან სინქრონულად წარმატებით მიმდინარეობს კულტურული ღონისძიებები, ფუნქციონირებს ცეკვის, სიმღერის მხატრული კითხვის წრეები, სადაც გაერთიანებულნი არიან ხელოვნების განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვები. სამეჯლისო ცეკვებში გატაცებით ჩართულია **ლუკა გავვა**, ასევე პერსპექტიული მოცეკვავე გახლავთ **ანა ბაცაცაშვილი**, ხატვაში გამოირჩევიან **ბაია გურაბანიძე, ეკა ენუქიძე** და **ქეთა ჩირიკაშვილი**, თეატრალური ნიჭით დაჯილდოვებულნი არიან **ზურაბ ნიჟარაძე, ირაკლი დოინჯაშვილი** და **დავით კვირკვია**. საინტერესო ჩანახატებს აკეთებს **ანა ჯინჭარაძე**.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სკოლაში სპორტის განვითარებას. ამ საქმეს სათავეში უდგას სპორტის მასწავლებელი **ლევან ოტიაშვილი**. მინდა გაგაცნოთ ნორჩი სპორტსმენები: მძლეოსნობაში გამორჩეულია – **გურამ სამხარაძე**, რაგბში – **გიორგი ხიდაშელი**, ძიუდოში – **ლევან ჭელიძე**, იგი გახლავთ საქართველოს ჩემპიონი. ბეისბოლში პერსპექტიულია **ლუკა გოგიშვილი**, კალათბურთში თავი გამოიჩინა **ლაშა ბედენაშვილმა**.

ამრიგად, მინდა ამ მოკლე მიმოხილვით მკითხველს მივაწოდო ნაწილობრივი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი და ნათელი საქმეები კეთდება სკოლა „გერგეტში“, რა დიდი ღვაწლია ჩადებული ამ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ თუ სულიერ სამყაროში. თუ რაოდენ დასაფასებელია ყველა მასწავლებელი, ვინც ასეთ კეთილ საქმეს აკეთებს მთელი ცხოვრება. ეს წერილი სრულად ვერ დაიტევს იმ რუდუნებას, სითბოს და სიყვარულს, რომელიც ჩაქსოვილია „გერგეტის“ საძირკველში. სწორედ ეს შრომა, ღვაწლი, სიყვარული და სითბო მიგვიყვანს იმ გზამდე, რომელიც „გერგეტის“ გავლით მიდის განათლებისა და მეცნიერების მწვერვალამდე, საქართველოს გაბრწყინებამდე.

ნანა ფიფია

მცირე შენიშვნა

მხარს ვუჭერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროექტით პედაგოგთა კვალიფიკაციის ხარისხის ოთხი კატეგორიით განსაზღვრების შემოღებას (**მენტორი, მკვლევარი, წარჩინებული, პრაქტიკოსი**).

ჩემი აზრით, განსაზღვრება **„პრაქტიკოსი“** მოითხოვს მცირე შესწორებას. პრაქტიკოსია ყველა პედაგოგი, რომელსაც უშუალო ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან, ასწავლის მათ, გაკვეთილებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, სემინარებს თუ სხვა ღონისძიებებს უტარებს. ყველა კატეგორიის მასწავლებელს ზუსტად ერთნაირი ურთიერთობა აკავშირებს მოსწავლეებთან, განსხვავება მხოლოდ დახელოვნების ხარისხშია.

ამდენად, უმჯობესია განსაზღვრება „პრაქტიკოსი“ არ ვიხმაროთ (თავისი უნივერსალური ზოგადობის გამო) და არასერთიფიცირებულს ვუწოდოთ „რიგითი მასწავლებელი“, ან უბრალოდ **„მასწავლებელი“**.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგი

წარსული დღევანდელობისათვის

ერთი ფოტოს ისტორია

* * *

ეს ბედნიერი ბავშვები ჩემი ყოფილი მოსწავლეები არიან, ამჟამად დედები, მამები. ფოტო გადაღებულია მთაწმინდაზე, 1991 წლის 17 იანვარს.

გთავაზობთ ფრაგმენტებს ჩემი ცისფერი რვეულიდან „გაბაასება წარსულთან“.

„...თოვლიანი თბილისი ყოველთვის თქვენს შატალოს მახსენებს. იმ ბედნიერ დღეს („მოგვიანებით მითხარით, ისეთი ბედნიერი დღე იყო, ყოველგვარ დასჯად გვიღირდაო“) მთაწმინდაზე რომ გაატარეთ“.

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა, ორი გაკვეთილის შემდეგ გაუჩინარდით, მე გაოცებული დავრჩი თქვენი საქციელით. რამდენიმეს ოჯახში გესტუმრეთ და მშობლებს მივანდე თქვენი მოძებნა და დასჯა. მეორე დღეს გისაყვედურეთ, დაგემდურეთ, დაგპირდით, რომ მიგატოვებდით. დიდ შესვენებაზე შემოხვედით ჩემს კაბინეტში. მორცხვად იდექით, ბოდიშებს მიხდიდით, 4-5 გოგონა ტიროდა. ვხედავდი თქვენს მიამიტ სახეებს, გულში მიხაროდა...

– რომელიმე თქვენგანს იქ რაიმე ცუდი რომ შემთხვეოდა, მაშინაც კი არ იტყოდნენ თქვენი მშობლები, ჩვენც დავდიოდით შატალოზეო... და ა. შ.

შემდეგ სსრკ ისტორიის გაკვეთილი:

– ტყუილის სწავლა არ გვსურს, რუსეთის ისტორია არ გვინდა, ჩვენი ისტორია არ ვიცით, ის გვასწავლეთ!

მთელი სკოლა ფეხზე დადგა!..

– X^ კლასი პროტესტს აცხადებს, ეს რას მოვესწარით!

თქვენ არ დათმეთ, მოთხოვნები წამოაყენეთ, დირექტორთან საუბარი იმით დასრულდა, რომ მეორე დღეს განათლების განყოფილების გამგეს შეხვდებოდით.

დილიდანვე დაძაბული იყო სიტუაცია. ჟენია დამლაგებელი აწკრიალებდა დერეფანს და თან თქვენ გიბღვერდათ. გვესტუმრა გამგე. მოგისმინათ, დღიურები გაგისინჯათ, გაგესაუბრათ.

თქვენ ისე კარგად მსჯელობდით, ადასტურებდით სსრკ ისტორიის სახელმძღვანელოს ხარვეზებს, რომ, გამგემ შეგაქოთ, დაგიყვავათ, გაგახარათ: რუსეთის ისტორიას აღარ ისწავლით, მის ნაცვლად საქართველოს ისტორიას შეისწავლითო. წინა დღეს გადაწყვეტილიყო პროგრამიდან სსრკ ისტორიის ამოღების საკითხი.

დაგპირდათ, იმედი დაგიტოვათ, რომ უსამართლობისგან დაგიცავდათ და წავიდა.

– რა კარგი ქალი იყო! – ლიტერატურულ საღამოს რომ ჩავატარებთ, მოვიწვიოთ, უფრო ახლოს გავიცნოთ! გადაწყვიტეთ უცებ.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, 9 აპრილის წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა“ მოვიწვიეთ.

აღფრთოვანებული გამგე და აღფრთოვანებული დარბაზი დიდხანს გიკრავდათ ტაშს. თქვენი ქებადიდება არ წყდებოდა. ერთბაშად გაიზარდეთ ყველას თვალში“.

ამ ფოტოს ხილვას **შორენა ბუაძეს** უნდა ვუმადლოდე, რომელმაც სოციალურ ქსელში განათავსა და 23 წლის შემდეგ თქვენი იმ ლამაზი ბედნიერი ღიმილის, თქვენი განწყობის თანაზიარი გამხადა, რამაც უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. მაშინვე გავაზიარე ჩემი ფეისბუქის გვერდზე წარწერით: „ჩემი საყვარელი მოსწავლეები, ჩემი პატრიოტები, ალალი, მართალი, გულუბრყვილო შვილები, მენატრებით, მიყვარხართ, გაიხარეთ!“

მაშინ დავსაჯე, ახლა ვეფერები.

სურათზე: ჩემი მოსწავლეები; „შატალო“ მთაწმინდაზე. 1991 წლის 17 იანვარი

ნატა კლდეისელი

დაუვიწყარი სურათები

თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული თბილისის 89-ე საჯარო სკოლის (დირექტორი **ნანა სოლოლაშვილი**) დაწყებითი კლასების მასწავლებლები **მანანა გიორგაძე** (1-ელი ფოტო) და **ეკა ჯავახიშვილი** (მე-2 ფოტო) მოსწავლეებთან ერთად ხშირად სტუმრობენ დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ეს ფოტოსურათები ასახავენ ძველ თბილისში და ეროვნულ გალერეაში სტუმრობის დაუვიწყარ ეპიზოდებს.

უმადურობის მწარე განცდა

დაგვიანებული ონოლოგი

„**ბებო**, სკოლიდან გამოგაგდეს?“ უპასუხოდ დარჩენილი შეურაცხმყოფელი კითხვა!

თავზარი დამეცა! ორმოცწლიანი, უანგარო, ენთუზიაზმით აღსავსე პედაგოგიური მოღვაწეობის ხიბლი იმ დღეს თავზე დამემხო, ჩემი 8 წლის შვილიშვილის კითხვაზე პასუხის მომლოდინე თვალებს რომ ჩავხედე.

2011 წლის 1-ელ სექტემბერს სამთვიანი კურსგავლილ მანდატურყოფილმა დირექტორმა ხელშეკრულება დამიდო და ხელის მოწერა „მთხოვა გათავისუფლებაზე. კითხვაზე რა მიზეზით? უდიპლომობა?!“

„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“. პედაგოგიური ინსტიტუტის ხუთი კურსის გავლის შემდეგ ოჯახური პირობების გამო ჩემი დიპლომი ცაში გამოეკიდა, მაგრამ უამრავი ატესტაციები, სახალხო მასწავლებლის წოდება ადრე, კი გამოგზავნილი ბარათები თუ ლექსები, წლების მანძილზე ნაგროვები და ნალოლიავები. მეამაყებიან ჩემი აღზრდილი პედაგოგები, იურისტები, ჟურნალისტები, ექიმები თუ უბრალო ადამიანები. ვინ იცის, ამ დირექტორის აღმზრდელებიც აღმოჩნდნენ ჩემს სიტუაციაში.

დღემდე ვერ ვუსწორებ თვალს ჩემ გაზრდილ გოგო-ბიჭებს, უკვე ზრდასრულებს და სიკვდილამდე თან გამყვება ჩემი შვილიშვილის გულუბრყვილო კითხვა: „სკოლიდან გამოგაგდეს ბებო?“

დიდი ხანია, ვფიქრობდი ჩემთვის ჩუმად მეტარებინა გულის ეს მწარე ტკივილი, მაგრამ ვეღარ გავუძელი და მინდა ჩემს დღეში მყოფმა მოწოდებით პედაგოგებმა გაიხსენონ ის ლამაზი წლები, როგორ უყვარდათ თავის აღზრდილ-აღსაზრდელებს.

დაე, უსაყვედუროდ ატარონ მძიმე ჯვარი ზეგანათლებულმა უნარ-ჩვევები, საგნობრივი თუ კომპიუტერის დაუფლებამ „ჩაილურის წყალი დალია“. ვინ იცის რამდენმა მომავალმა მასწავლებელმა გაიკვლია გზა ჩემი ძალისხმევით.

მაგრამ 61 წლის ასაკში, ონკოლოგიური დაავადებით „გამომაპანღურა“ პატივცემულმა დირექტორმა. უტაქტო გამოთქმისათვის ბოდიშს ვიხდი, რამეთუ შესატყვისი ვერ მოვიძიე. არადა, როგორი პატივით გამოცილება წარმომედგინა მშობლიური სკოლიდან. თუმცა, მე როგორ უნდა ვჩიოდე, როცა ჩემთან ერთად სკოლის ყოფილი დირექტორი ლამის 50-წლიანი თავდაუზოგავი შრომის, უბადლო ლიტერატორს ქართული ენისა და ლიტერატურის საათებიც კი დაამადლა და ჩემთან ერთად გამოისტუმრა, ჩვენამდე კი – 8 დიპლომიანი გამოცდილი პედაგოგი. მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ პარტიულობა იყო.

აღმოვჩნდი თავმოყვარეობა-შელახული და განადგურებული. ნუგეშად დამრჩა ჩემი აღზრდილების დირექტორებმა, რომელთაც ზნეობრივი და ადამიანური მორალის მიღმა ეცხოვრებათ.

და კიდევ, დირექტორთან ერთად მოვლენილმა სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონმა დიდი წვლილი შეიტანა „პარტიული დავალების“ უმაღლეს დონეზე შესრულებაში. აფერუმ, ქალბატონო, კარგად მახსოვს თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვები: „შოთა ლეკიშვილი მამასავით მიყვარსო“. სიყვარულიც ასეთი უნდა. იმიტომ გააძევეთ ღვაწლმოსილი გამოცდილი პედაგოგები სამუდამო დაღით. შეგიძლიათ მთელი ცხოვრება იამაყოთ. რამდენადაც ვიცი, ვერცერთ სკოლაში ვერ მოიკიდეთ ფეხი. „სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს“ – სხვისთვის ამოთხრილ ორმოში მავანნი თვითონაც ჩაცვივდებიან.

ლეილა ლომდარიძე,
თბილისის 107-ე საჯარო სკოლიდან „გამოძევებული“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ზღვას წარმოსახვით ვხატავდი

ნიჭის ელვარება

* * *

თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, ზღვა არასოდეს ენახა, თუმცა სულ პატარაობიდანვე, ჯერ კიდევ 3 წლისა, ზღვას და ზღვის ცხოველებს ხატავდა წარმოსახვით. მე-5 კლასამდე თბილისის 169-ე სკოლაში სწავლობდა, მერე რუსთავში მე-17 საჯარო სკოლაში განაგრძო სწავლა, რადგან ამ ქალაქში დამკვიდრდა **ხატია ხვედელიძის** ოჯახი. ახლა იგი მე-11° კლასშია, გამორჩეული და წარჩინებული მოსწავლე. მის შესახებ დახასიათებაში კლასის დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მერი მამუკელაშვილი** წერს: **„ის არის მრავალმხრივ განათლებული გოგონა, სწავლობს წარმატებით, აქვს მოსმენის, ცოდნის ათვისების, გამოყენების აქტიური უნარი, უყვარს მეგობრები და კომუნიკაბელურია“**.

ნელი ლიქოკელი, სკოლის დირექტორი: ხატია უკვე გამორჩეული პიროვნებაა ჩვენს სკოლაში, არის სანიმუშო, ჩვენ ახლო მომავალში ვგეგმავთ მისი ნახატების პერსონალურ გამოფენას.

გურანდა სირბილაძე, დირექტორის მოადგილე: ხატია კეთილი და თავმდაბალი გოგონაა, მისი ბუნება მის ნახატებშიც იგრძნობა. ვისურვებდი, რომ მას ეს განწყობა მთელი ცხოვრება გაჰყოლოდეს...

16 წლის **ხატია ხვედელიძის** ნახატების გამოფენა ამ დღეებში ქალაქის ცენტრალურ საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო. მის ჩატარებაში განსაკუთრებული წვლილი საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა, გემოვნებიანმა ესთეტმა და ინტელექტუალურმა პიროვნებამ **თეა ჟვანიამ** შეიტანა. გამოფენაზე 60-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, სხვადასხვა ჟანრის და სხვადასხვა ასაკში შესრულებული.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ მერიის კულტურის განყოფილების და საკრებულოს წარმომადგენლები. ქალაქის საზოგადოება, მწერლები და პოეტები, მე-17 სკოლის დირექცია, პედაგოგები, მოსწავლეები, მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები.

ცნობილმა რუსთაველმა მხატვრებმა: **გურამ მღებრიშვილმა**, **საშა თოდუამ**, **გიორგი ჩალაძემ**, **გოგი ჩინჩალაძემ**, **დარეჯან ნოზაძემ**, **დავით ფიცხელაურმა** და სხვებმა შეაქეს მოსწავლე მხატვარი და ბევრ რამეზე მიუთითეს კიდეც, ურჩიეს და დაარიგეს...

...მე ფაქტიურად თვითნასწავლი მხატვარი ვარ, ჩემი შემოქმედებითი მოძღვარი ამ ბოლო წლებში კარგად ცნობილი მხატვარი **დარეჯან ნოზაძეა**, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ ამ ურთულეს დარგში ღრმად ჩამახედოს, ბევრი რამ მასწავლოს თეორიულად და პრაქტიკულად. მას ვუმადლი დღევანდელ დღესაც, ერთხანობას რუსთავის სამხატვრო სკოლაშიც დავდიოდი, ბატონ **გოგი ჩინჩალაძის** უშუალო ხელმძღვანელობით ვეუფლებოდი ხატვის ხელოვნებას.



ამ გამოფენამ და დამთვალიერებელთა მოსაზრებებმა, კერძოდ კი ჩვენი ქალაქის ცნობილი მხატვრების შეფასებებმა, ბევრ რამეზე სხვაგვარად დამაფიქრა, მე ძალიან ინტენსიურად უნდა ვისწავლო, დავხვეწო ჩემი გემოვნება, ვეძიო საკუთარი თავი და ვიშრომო, რომ მომავალში ადგილი დავიმკვიდრო. სწავლის გაგრძელებას ვაპირებ უმაღლესში, მსურს გავხდე არქიტექტორი ან დიზაინერი.

ძალიან მომწონს ეს პატარა და მყუდრო ქალაქი რუსთავი. აქ ადამიანები ერთმანეთისათვის მხოლოდ სითბოს იმეტებენ. ჩემი სკოლელები და კლასელები გულგახსნილი ადამიანები არიან, მყავს უახლოესი მეგობრები **ანა შუბითიძე**, **მარიამ ბერიშვილი** და **ნიკოლოზ ხვედელიძე**. ვმეგობრობ მასწავლებლებთანაც, ყველა საგნის მასწავლებელს უდიდეს პატივს ვცემ.

ხატია ხვედელიძე თავისუფალ დროს ცეკვავს, უკრავს ფანდურსა და პიანინოზე, დადის ტაძარში და მიაჩნია, რომ მამა პეტრე არა მხოლოდ მოძღვარი, არამედ მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარიცაა.

სად და როდის უჩნდება შემოქმედებითი შთაგონება ხატიას? მშობლიურ დედულ-მამულში, ჭიათურის რაიონის სოფელ რგანში, სადაც ველ-მინდვრები, ტყეები, ტაძრები, გამოქვაბულები, კლდეები, საბაგირო გზები ისეთი ლამაზია და საინტერესო, რომ შეუძლებელია, არ დახატოს.

ხატია ხვედელიძე ხატავს ფანქრით, ზეთის პასტელით, აკვარელით პეიზაჟებს, გზად შეხვედრილ ადამიანებს, სხვადასხვა სახის საგნებს, ზოგჯერ კომპიუტერიდანაც კი და ასე ძიებაში, საკუთარი თავის შესაძლებლობების აღმოჩენაში ატარებს დღეებს. მისი შემოქმედებითი გზაც,

მთავარია, რომ დაიწყო მომავლის იმედებითა და ოცნებებით, წარსულითაც, რომლის სათავეში მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული ბებია **ლილი ჯამალაშვილი** და ბაბუა **ოთარ ზაქარაშვილი** დგანან, ხატიასაც მიაჩია, რომ მათი გენეტიკური კოდია შვილიშვილში.

ხატიას დედა **ეკატერინე ზაქარაშვილი**, მამა **ზვიად ხვედელიძე** და ძმა **ნიკოლოზ ხვედელიძე** ისინი არიან, ვინც ყოველმხრივ უწყობენ ხელს ნიჭის განვითარებაში.

ხატია კვლავაც ხატავს ბევრ რამეს, უფრო ხშირად კი ზღვას, რომელიც უკვე ნანახი აქვს და რომლის ყოველ ჯერზე ნახვაც მუდამ აღუძრავს საინტერესო წარმოსახვებს ახალ ნახატთა შესაქმნელად.

ხატია ხვედელიძის გამოფენა გრძელდება და დამთვალიერებელს ელის.

შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვოთ მას.

ლია მარტაშვილი
ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი. რუსთავი

ნინო მიმინოშვილი

ნინო მიმინოშვილი – ჩემი საყვარელი ნამოწაფარი, სამი შვილის დედა, შესანიშნავი მეუღლე, ჩინებული პედაგოგი, რაზეც მისი ათწლიანი პედაგოგიური გამოცდილებაც მეტყველებს....

მან კარგად იცის, რა უნდა, რისკენ მიისწრაფვის, რას ნიშნავს მისთვის მასწავლებლობა და ამიტომაც არის კიდევაც ასეთი წარმატებული.

„ნინო მასწ. მართლაც, უბედნიერესი ბრძანდებით არა მხოლოდ იმ გრძნობის გამო, რომელსაც გულით ატარებთ, არამედ იმიტომაც, რომ ძალიან გვიყვარხართ თითოეულ მოსწავლეს...“, – წერს მისი ერთ-ერთი ასაღზრდელი. შეუძლებელია, ნინო არ გიყვარდეს.

მიუხედავად მისი დიდი ოჯახისა, იგი ძალიან აქტიური, ენერგიული და მონდომებული პედაგოგია. არის საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის წევრი, სერთიფიცირებული მასწავლებელი, ნაყოფიერად თანამშრომლობს ეროვნული გამოცდების ცენტრთან, არის კავკასიის აკადემიის პედაგოგი და ერთ-ერთი კათედრის ხელმძღვანელი.

პედაგოგის ოჯახში აღზრდილს შესისხლხორცებული აქვს მასწავლებლობა. იგი, მართლაც, სამაგალითოა. არაფერია მისთვის შეუძლებელი. იცის, რომ ოცნებები ნამდვილად ახდება, ყველაფერი გამოვა, ყველაფერს მიაღწევ, თუ მოინადინებ.

ამაზე მისი წარმატებებიც მეტყველებს, თუნდაც, პროექტში „საშინაო სკოლა“ მონაწილეობა, ნინომ სკოლის მოსწავლეებისთვის 67 გაკვეთილი ჩაწერა, რომლის ნახვაც ყველა მსურველს შეუძლია „სილკნეტის” ტელევიზიით. ნინო ყველას ერთ პატარა, მეოცნებე გოგოდ მიაჩნდა, თუმცა, მან დაამტკიცა, რომ ოცნება შეგიძლია აქციო მიზნად, ხოლო მიზანი – რეალობად. მას ყოველთვის იტაცებდა თეატრალური ხელოვნება და მასწავლებლობამ მისცა საშუალება, სკოლის სცენაზე დაედგა სპექტაკლები: „ანა ფრანკი“, „ემიგრანტები“, „რომეო და ჯულიეტა“, განეხორციელებინა სასკოლო პროექტები: „რეპრესირებული ქალები“, „გრიგოლ ფერაძე“ (გამოქვეყნდა ჟურნალ „კარიბჭეში“), „9 აპრილი“, „მივიწყებული კულტურები“, „ეს საოცარი არქეოლოგია“ და სხვ.

ასეთ ახალგზრდას, საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენელს, ვისაც „სამშობლოს უკვდავების საქმეში პირველი და გადამჭრელი სიტყვა ეკუთვნის“ (ნიკო კეცხოველი), ყველა უნდა იცნობდეს, პრესა და ტელევიზია ხშირად და ფართოდ უნდა აშუქებდეს მის მუშაობას.

ნინო ბავშვობიდან წერს. ჩვენი გაზეთის ამ ნომერში გთავაზობთ მის ნოველას: „ტკივილიანი წარსულის გახსენება.“

ნატა კლდეისელი

ტკივილიანი წარსულის ლღვიერიდან

* * *

სირბილით გავექანე კარისკენ, ვიღაც გამეტებით აკაკუნებდა. ფრთხილად გავიხედე ჭუჭრუტანაში და თითქოს ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი. ფართოდ გამოვაღე კარები და ღიმილით შევეგებე მამაკაცს, რომელიც რატომღაც მეუღლის ბიძას მივამსგავსე.

მობრძანდით, მობრძანდით! – შევიპატიჟე სახლში.

კაცმა ზევით, მრიცხველისკენ, აიხედა და საგულდაგულოდ დამაგრებულ ფოტო-ლენტს მიაჩერდა. ტანში გამაჟრჟოლა. მივხვდი ვინც იყო. ახლა, ასეთ დროს, თუ დაგვაჯარიმეს, როგორ გინდა ოჯახის წევრებს ამცნო...

– შვილო, უფროსებმა არ გაგაფრთხილეს უცნობებს კარი რომ არ უნდა გაუღო? – მკითხა ღიმილით, როდესაც ჩემს გაფითრებულ სახეს შეხედა.

– იცით, მე... მე, ახალი გათხოვილი ვარ და ნათესავებს ვერც კი ვცნობ. მეუღლის ბიძა მეგონეთ.

– კარგი დრო შეგირჩევიათ ოჯახის შესაქმნელად! – სევდიანად ამოიოხრა მან.

– „რა ვიცი, – ავიჩეჩე მხრები და გავწითლდი...

– მე ახლა წავალ, ვითომ არც ვყოფილვარ და შენც ნურავის ეტყვი! – გამიღიმა და კარისკენ გაემართა.

– განა არ ვიცი, ხალხი რას არ აკეთებს, ოღონდ თავი გადაირჩინოს, შიმშილით არ მოკვდეს. არც პირველი და არც უკანასკნელია თქვენი ოჯახი. გაჭირდა ცხოვრება, ეჰ... ჩვენ კიდევ ვნახეთ რაღაც, თქვენ მეცოდებით ახალგაზრდები, ამ გაუბედურებულ დროში რომ გიწევთ ცხოვრება...

– მჭადზე დაგვეწვიეთ! – ამოვღერღე ძლივსგასაგონი ხმით.

– არა, გმადლობთ! – თქვა და ღრმად ჩაისუნთქა ნავთის სუნში შეზავებული მჭადის სურნელი.

– გმადლობთ! – შევეცადე რაღაც, ღიმილისმაგვარი გამომეხატა სახეზე. უზომოდ დიდ მადლიერებას ვგრძნობდი მის მიმართ.

– ფრთხილად იყავი! – მითხრა და წავიდა. სასწრაფოდ ჩავკეტე კარები. სირცხვილს, აღელვებას და სიხარულს ერთად განვიცდიდი. მერე კი... მერე, დამწვარი მჭადის სუნმა გამომაფხიზლა და ძლივს ავაძრე ტაფას ბოლო ორი მჭადის კოკორი...

ამ დროს კვლავ გაისმა კაკუნი... ფეხაკრეფით გავემართე კარისკენ, რა იცი, ვინ არის! ფრთხილად მივეპარე კარებს და გავიხედე. ჩემი დედამთილი აღმოჩნდა.

– უჰჰჰ, ჩამომწყდა მკლავები, ოცი კილო კარტოფილი ვიყიდე ფიროსმანის ქუჩაზე, სატვირთო მანქანიდან ყიდდნენ, ფული რომ მქონოდა უფრო მეტს ავიღებდი. ნახე, შვილო, რა კარტოფილია!

– მომეცი დედა, გაგატანინებ აივანზე! – არა, შვილო, შენ მძიმე არ აწიო... – მუცელზე შემავლო თვალი და ჩაეღიმა. მორიდებით მოვარიდე თვალი მის მზერას. უცებ მომეჩვენა, რომ მას უსაშველოდ გრძელი ხელები ჰქონდა ამდენი ტვირთის ზიდვისგან. მე შენ გეტყვი და ლიფტი მუშაობს! მეექვსე სართულზე არ გინდა ამდენი რამის ამოტანა?! გუშინ ოცდაათი ლიტრი ნავთი მოზიდა უზარმაზარ რიგში მდგარმა. ფულიც ახლა გაუფასურდა. ჩემს ქმარს 20 000 კუპონი აქვს ხელფასი და მხოლოდ პურის ფულად გვყოფნის, კიდევ კარგი მშობლები გვყავს, თორემ რა გვეშველებოდა არ ვიცი.

სკოლა შარშან დავამთავრე და მაშინ აირია ყველაფერი ამქვეყნად. ჩვენი თაობა კი, როგორ მახსოვს – დღედაღამ ნათელ მომავალზე ოცნებობდა. სიყვარული რომ არა, არ ვიცი როგორ გავუძლებდით ამდენ გასაჭირს.

გუშინ ბაზრობაზე წამიყვანა ჩემმა ქმარმა, რას არ ყიდდნენ იქ, ოჯახიდან გამოტანილ ნივთებს: გაცრეცილ ტანსაცმელს, ჩეხური ბროლის ჭურჭელს, ნახმარ და საგულდაგულოდ გახეხილ-გაპრიალებულ ქვაბებს, ძველ თოჯინებს, ერთი შეხედვით, გამოუსადეგარ, გადასაყრელ ნივთებს და წიგნებს... რას არ ნახავდით აქ უნიკალურ რუსულ თუ ქართულ ტომეულებს, პრიალა ენციკლოპედიებს, თვალი ზედ მრჩება, ცნობისმოყვარეობით შევყურებ თითოეულ მათგანს.

– გინდა რამე გიყიდო? – მეკითხება მეუღლე, რომელიც უსიტყვოდ მიგებს.

– მერე ზეთი? ხომ უნდა გვეყიდა...

გული გამალებით მიცემს, ვუჭერ ხელზე ხელს და თან თვალს არ ვაცილებ ისტორიის ნარკვევების რვა ტომეულს, რომელიც ვარდისფერი თოკით კოხტად არის შეკრული.

შინ ფეხით ვბრუნდებით.

– იცი, ძალიან მჭირდებოდა, უნივერსიტეტში დაგვავალეს, არა უშავს ზეთი რომ ვერ ვიყიდეთ, არა? ნავთიც უნდა გვეყიდა ხომ ამ ფულით? კარტოფილიც? არა უშავს ჰო? იცი, ძალიან ძალიან მინდოდა, მჭირდებოდა, – არ ვაჩერებ ენას.

მას ეღიმება, არაფერს ამბობს...

გვციოდა, გვშიოდა, მაგრამ ჩემზე ბედნიერი... არა, ჩვენზე ბედნიერი, არ მეგულებოდა ქვეყნად არავინ!

ნინო მიმინოშვილი,
ისტორიის მასწავლებელი

* * *

მან შეძლო და თქვა მრავალის სათქმელი, ხმამაღლა თქვა სათქმელი, რომელიც იტევს დიდზე დიდ დარდს, საწუხარს, დაუამებელ ტკივილებს, ამასთანავე, უდიდეს სურვილს – ბედმა და ისტორიამ ინებონ და გაიმეორონ ის ღვთიური წყალობა, რომლის ბოძებასაც უთუოდ უნდა დამსახურება.

მისთვის წარსულისა და აწმყოს შეჯერება, მათთვის თვალის გასწორება უკიდურესად მტკივნეულია, მით უფრო, ისტორიკოსისათვის, ორმაგად მტკივნეული.

გამოსავალი, წამალი?

ერთობ ახლოს გახლავთ, ჩვენს ხელთ, ჩვენს ხელშია... პრობლემა, სწორედ, ეს ყოფილა, ურთულესი გამხდარა, სწორედ, ჩვენ ხელში ყოფნის გამო!

ო, რა დიადია გარდასულ დღეთა სიდიადე!

„... შენ იყავი „დიდი სახელითა და უდიდესი საქმითა...“

„.ესე იყო განსასუენებელი შენი უკუნითი უკუნისამდე;“

დიახ, ისტორიული ჭეშმარიტებაა: **„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, ჰერთა და სომეხთა“ საუკუნეთა წიაღში ჩარჩა შენთან“.**

მწარეა (და მერე როგორი!) რეალობა, რომელსაც ვერაფრით ურიგდება ავტორი, რადგან:

„.უდღეურმა შთამომავლობამ ვერ შეიგნო, ვერ შეიგრძნო და ვერ აღასრულა „.მესიის მახვილის“ ანდერძი“.

ძალიან მწარედ ნათქვამია?

არადა... სწორედაც:

„... დღეს არავის უჭირავს გელათი ცალ ხელში, მეორეში კი – წიგნი.

აღარავინ ფლობს შენსავით წოდებას მაღალს...

აღარავინ დაიარება ქრისტეს კვართით შენსავით...

აღარავის ძალუძს შენსავით „მეფეთა პურად“ დასხმა.

აღარავის ძალუძს შენსავით მტერთა ჩვენთა საზღვართა გარეთ გასხმა“...

ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ, სწორედაც, ნაღდი ქართველი, სამშობლოს ბედზე მოფიქრალი, თვალებამოღამებული, სამშობლოს მაჯისცემაზე მიყურადებული მოძღვარი, მომავალი თაობის აღმზრდელი, თბილისის 156-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი პატონი გია სირაძე.

მომავალი თაობის აღმზრდელი, სწორედაც, რომ მშობლიური ქალაქის თავად ცოცხალი ისტორიაა და არა მარტო მშობლიური ქალაქის, რაზეც მოგითხრობდით ჩვენი გაზეთის ჯერ კუდევ 2009 წლის 20 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „თავად ისტორია“ და გაცნობდით მისი მხატვრული შემოქმედების რამდენიმე ნიმუშს, პოეტურ სტრიქონებს, რომლებსაც მკითხველის თბილი გამოხმაურება მოჰყვა. ფაქტებისა და მოვლენების მისეულმა ხედვამ, მოქალაქეობრივმა პოზიციამ, თხრობის მანერამ მკითხველის მოწონება დაიმსახურა.

უამრავი სათქმელი დაუგროვდა და...

რომ არა მეგობრები, თავადაც ვერ გეტყვით, დაიბადებოდა თუ არა, **გია სირაძის** ეს პირველი წიგნი „რად, ერეკლევ, რად?!“, რომელიც არ შეიძლებოდა არ დაბადებულიყო, არ შეიძლებოდა მას მზის სხივები არ ეხილა.

ტკივილების გარეშე ფურცელს ვერ გადაშლით... და, რაც ესოდენ ყურადსაღებია, ორივე – პოეზიისა თუ პროზის მისეული ყოველი ნიმუში სამშობლოს სიყვარულით, მასზე ფიქრებისა და წუხილის, ადამიანებისადმი სიყვარულით სუნთქავს.

ისტორიულ მოვლენებთან გაშინაურებული ავტორი, დააბიჯებს ქვეყნის წარსულში და საკუთარი თვალით ხედავს ჩვენი სამშობლოს სულისშემძვრელი მწარე წარსულისა თუ სიხარულის, თანამონაწილეებს გვხდის ცნობილი თუ უსახელო, მწერლისეული ფანტაზიით უკვდავყოფილი მისეული გმირების სამაგალითო ცხოვრებისა.

სამშობლოს ბედზე მოფიქრალი

გვჯერა ასეთი მერმისის

მეტად მწარეა (ისტორიის მასწავლებელს, სწორედაც, რომ არ ესწავლება) ავტორისეული არა მარტო ირონიულად ნათქვამი: **„ქართველს ყოველთვის ქართველი ერეოდა, სხვა ვერავინ“ („ათაბაგის ქვრივი“, გვ. 72), ანდა: „სპარსელ-ოსმალთა გამარჯვებისთვის ქართველები გულმოდგინედ იხოცებოდნენ“,** (იქვე, გვ. 66).

ავტორს დამგზავრებული მკითხველი იხიბლება ცნობილი თუ უსახელო გმირებით, ქეთევან წამებულებით, წამებულ დედისიმედებით. განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოკვეთს ავტორი სარწმუნოებისა და მამულისათვის თავდადებულ ქართველ მანდილოსანთა პორტრეტებს.

თითოეული ისტორიული პიროვნება თუ მწერლისეული ფანტაზიის ნაყოფი ახლობელია ავტორისათვის, ფართოა მისი თვალთახედვის არეალი, მისი თვალი პროფესიული რაკურსით ჭვრეტს ყოველ დეტალს და ზომიერი მხატვრული ფერებით მოსავს მათ.

ლაკონურად, დამაჯერებლად, თანამედროვის სიზუსტით ხატავს სპარსეთში შაჰის კარზე 4-5 წლის ასაკიდან სამშობლოსათვის მგლად გამოზრდილი კახეთის მეფის ალექსანდრეს უმცროსი ძის, გამაჰამდიაანებული კონსტანტინეყოფილ – მირზას სულიერი გადაგვარებისა და. მის გონებაში წამიერი გამონათებების სურათებს („კონსტანტინე მირზა”)...

შთამბეჭდავია ისტორიულ ფაქტებით გაჯერებული ავტორისეული მხატვრული სახეები, მაღალი მხატვრული ოსტატობითა შექმნილი მინიმოთხრობები „თამთა და შერგილ“, „ცოდვილი მონაზონი“, „ოდიშური ამბავი“, „ანგარება“, შეუძლებელია, მკითხველი არ ააღელვოს მის მიერ ექსპრესიულად დახატულმა სოციალური უსამართლობის, თანამემულეთა უმოწყალი ჩაგვრის, დამცირების, მიწასთან გასწორების ამაზრზენმა ეპიზოდებმა („ღაზნელები“ და სხვ.),

სურნელოვანი, ახლობელია ავტორისეული შემოდგომისა და ზამთრის მხატვრული პეიზაჟები („წვიმის წვეთები“, „ზამთარი“), გახალისებთ სურნელოვანი გურული ავტორისეული იუმორი („გრიშაკოს სიყმაწვილე“, რომელიც თავის დროზე ჩვენი გაზეთის ზემოაღნიშნულ ნომერში დაიბეჭდა და სხვ.).

ინტერესით იკითხება **გია სირაძის** პოეტური სტრიქონებიც.

ზაზა და **მაია სირაძეების** მამას, მეორეკუსელი **ირაკლი სირაძისა** და მესამეკლასელი **თეკლა ველიაშვილის** ბაბუას, **გია სირაძეს** ბავშვობიდან მოჰყვება სამშობლოს, ადამიანებისადმი, ავლაბარში, ვარდის ქ. №-5-ში მცხოვრები მამის – **რობერტ სირაძის** მშობლების – ბაბუა **გრიგოლ სირაძისა** და ბებია – **შუშანა ლომჯარიასეული** სიყვარული, რომლითაც პირთამდე სავსე იყო იმდროინდელი ძველი თბილისური ეზო.

სამაგალითო გახლდათ, ტკბილად მოსაგონარი დედ-მამის – **რობერტ სირაძისა და დინარა მენაღარიშვილის** – პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანაჯგუფელების სიყვარული და ურთიერთპატივისცემა.

სითბო და სიყვარული გამოატანეს **გია სირაძეს** პედაგოგებმა თბილისის 47-ე საბავშვო ბაღიდან, 51-ე და 140-ე საშუალო სკოლებიდან, რომელიც უხვად დაუბრუნა თავის აღსაზრდელებს წინარეხის, სიონის, წერაქვის სკოლებში მოღვაწეობისას. უკვე გამოცდილი პედაგოგი ახლაც ჩვეული ერთგულებითა და სამშობლოს სიყვარულით ზრდის თითოეულ გოგო-ბიჭს.

არც ძმაკაცობაში ჩაჭრილა. ვრცელია აწ ისევ გვერდში მდგომ მეგობართა წრე: **ოთარ კალანდაძე, დიტო ზაალიშვილი, თემურ კირვალიძე, გურამ გვასალია, თამაზ იმნაიშვილი, რუსიკო მხეიძე, მანანა კიზირია, მარიკა ცომაია,** კეთილად მოსაგონარი არიან მარადისობაში გადასული მეგობრები**: ვოვა ბაგრატიონი, შოთა ჯიქია, მიშა ბერიძე, ჯანო ბესელიძე, კოტე ჯალიაშვილი, ნინო ჩერქეზიშვილი, ზურიკო ორაგველიძე...**

გამორჩეულად მეგობრობდა უფროსი ასაკის კოლეგასთან, ბიოლოგ **ლუბა ადიკაშვილთან.** პოეზიის სიყვარულმა უფრო განამტკიცა მისი მეგობრობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან, პოეტ **დალი ცუცქირიძესთან.**

უახლოეს მეგობრებად მიაჩნია თავისი კოლეგა – თანამშრომლების მეუღლეები: **ომარ სიდონაშვილი, თემურ წიკლაური, ჯაბა ჭილაძე, როლანდ ყავრელიშვილი, მიშა ჭინჭარაული, გია სიბოშვილი, აგული გაბელია.**

ვინ შეასრულა დიდი როლი მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში?

რა თქმა უნდა, ბაბუამ, **გრიშა სირაძემ, არქეოლოგმა, პროფესორმა მალხაზ ბარამიძემ,** მეგობარმა, პროფესორმა **თამაზ ავალიშვილმა.**

სიძულვილი? სიძულვილით არავინ სძულს. უბრალოდ ეცოდება ასეთი ხალხი .

სურვილები?

– მომავალ თაობას ვუსურვებ განცდებში არ ჩაიგდოს თავი უზრუნველობითა და დაუდევრობით... მაცხონებელი სიტყვა ვერცხლში არ გაცვალოს.

პედაგოგ გია სირაძის სახით ჭეშმარიტი მოძღვარი ჰყავთ თბილისის 156- ე სკოლის ყმაწვილებს.

ამაყობენ თავიანთი მასწავლებლით, განსაკუთრებით, როგორც თავად ამბობს: „მისი სასახელო ნამოწაფრეა“: **ირაკლი მატკავა, ნინო სიბაშვილი, ქეთინო წიკლაური, დათო ბუჩუკური, სოფიკო ოჩხიკიძე, ქეთინო ხიდეშელი, მამუკა და ბაჩანა ბექაურები, ერასტი გაბელია, ისტორიკოსი – მარიკა ფეიქრიშვილი** (რომელიც მშობლიურ სკოლაში იღვწის, **გია** მასწავლებლის კოლეგაა და ახლა **გია** მასწავლებელი მისი IX კლასელი ქალიშვილის, **ანა გოგოჩაშვილის** კლასის დამრიგებელია), **თემურ სინჯიკაშვილი, მამუკა გურგენიძე.**

ამჟამინდელ IX კლასს, რომელიც გია სირაძისათვის მეექვსე სადამრიგებლო კლასია, V კლასიდან მოჰყვება. სულ მალე ამ 25 ყმაწვილიდან, ალბათ, ბევრი შემოუერთდება აღმზრდელი პედაგოგის სამეგობროს.

ვისურვებდით: **მომავლიდან მომავალთა შორის გამოჩენილიყოს პედაგოგ გია სირაძის ნანატრი გმირი,** ერისკაცი, რომელიც **„ცალ ხელში გელათს დაიჭერს, მეორეში კი – წიგნს”** და ამ ღვთითკურთხეულ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში **„ქრისტეს კვართით ივლის”**...

ბატონი გია, **გვჯერა ასეთი მერმისის.**

ნათელა ქიმერიძე

გია სირაძე

* * *

ზამთარი შემოგვიბრუნდა,
თოვლით გაივსო მთა-ბარი,
თბილად მიმჯდრა მთხუცი
ცეცხლთან და იწვის ღადარი.
ქარი აბრუნებს ფანტელებს,
ისინიც იფანტებიან,
ავყიალ ქარის ზმუილში
ტოტებზე თბილად დნებიან.
მთხუცი ისევ ცეცხლთან ზის,
გასცქერის ზეცას ნისლიანს,
ტვინში აბრუნებს სამყაროს
ისე, ვით ბრძენი ბიბლიას.
ზამთარი შემოგვიბრუნდა,
გადაათეთრა მთა-ბარი,
ფიქრის დროს ზამთარზე მეტად
ნეტავ, ვიცოდე, სად არი?
მაგრამ ცეცხლი რომ ანთია,
იმედად მწველი, ხვალისა,'
მომრევი და დამპყრობელი
ყინვათოვლიან ქალისა.
ცეცხლი! მთავარი ცეცხლია
და არა თოვლის საფარი,
თბილად მიმჯდრა მთხუცი
ცეცხლთან და იწვის ღადარი.

* * *

ერეკლეს გმირობა და სააკაძის ფარი
მამულისთვის მკვდარი.
ქეთევანის ძუძუ და ზედგინიძის ერთგულება
მსგავსი ვინმეს ეგულება?!

* * *

რატომ არ მღერიან ნანას მამები
შვილებზე ფიქრით განაწამები.
შვილებზე ფიქრში მიჰქრიან წამები,
შუბლს ეპკურება თფლის წამები.'
რთგორ არ მღერიან ნანას მამები!...

განსაჯე თავი შენი

(ხუთი ან ვინმეს–უარი)

ამონარიდები ლალი ყარადაშვილის – „შემოქმედ პედაგოგთა“ კონკურსზე მიღებული იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლისა და საპატიო სიგელის მფლობელის ნაშრომიდან.

მოძღვრავ, აკვირდები ცოდნისა და სიკეთის აღმოცენებას აღსაზრდელში, აფრთიანებ, და ამ მოვლენებით გამოწვეული განცდა ანალოგიურია იმისა, რასაც ხელოვნების ნაწარმოებები განიჭებენ.

ყველა აღსაზრდელში გარკვეული ფასეული ღირებულებებია, აღმზრდელის ამოცანაა გამოამზეურო და განავითაროს იგი.

სექტემბერში, როცა მეთერთმეტეკლასელების ნაცვლად მერხებს იკავებენ პირველკლასელები, ყველაზე უფრო ძლიერ ჰგავს სკოლის ცხოვრება სუნთქვის განმეორებას, ფოთოლცვენას და აღმოცენებას.

სადაც ლოგიკას დასცინიან, იქ განუკითხაობა მეფობს.

სიყვარულს ვერ მიიღებ ვერც ბრძანებით, ვერც მოწყალებით, იგი უნდა მოიპოვო, როგორც გრანტი.

კაცის ხედვა მის ჭკუაშია, ღირსება – მის ქმედებაში.

იქ, სადაც ძლევამოსილებაა ფული, კანონზომიერება სასომიხდილია.

ყოველ დასაწყისს თავისი დასასრული აქვს, ხოლო ყოველ დასასრულს – სხვა დასაწყისი.

შეკრიბა **რომან მოსეშვილმა**

როგორ ცხოვრობთ, 143-ე ბაგა-ბაღელებო?

* * *

გაიხარეს ხორნაბუჯის ქუჩისა და მისი გარეშემოს მცხოვრებლებმა. დედაქალაქის მერიამ წარმატებით დაასრულა ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აი, ბატონო, რკინის ახალი ღობით შემოკავებული კოხტა ეზო. აი, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. აი, საახალწლო სიურპრიზი. ფართისა და სხვა პირობების უქონლობით ბევრი ცეროდენა ბაღის გარეთ რეზერვში რომ იყო დარჩენილი. მერიის უშუალო დახმარებით მშობელთა თხოვნა დაკმაყოფილდა და ახალი წლის წინ ბაღს მეშვიდე ჯგუფი დაემატა.

ბაგა-ბაღის დირექცია, თანამშორმლები, ცეროდენათა მშობლები ასეთი ზრუნვისთვის, დახმარებისთვის, თანადგომისთვის დიდ მადლობას უხდიან ბაგა-ბაღის კურატორს, მერიის ფინანსურ მენეჯერს **დავით კერესელიძეს** და ბაგა-ბაღის მომსახურების სააგენტოს უფროსს, მუდამ ყურადღებიან **თემურ თორდინავას**.

გულთბილად მიგვიღო პირმშვენიერმა დიასახლისმა ცუგრუმელების ამ ზღაპრულ სამყაროში და მეგზურობა გაგვიწია. კასპის რაიონის ქვემოჭალის საშუალო სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილი დირექტორი **ირმა მაყაშვილი** ძალიან უყვართ პატარებს, მათ მშობლებს და ყველა თანამშრომელს, რადგანაც თავად ძალიან კეთილია, ტკბილმოუბარი და კოლეგიალური.

ბაგა-ბაღში ყველა პირობაა პატარების ბედნიერი აღზრდისათვის: კვება, მეცადინეობა, თამაში, სისუფთავე, მოვლა, მზრუნველობა – ყველაფერი ერთმანეთზე უკეთესია. აქ ყველგან ესთეტიკური ხიბლია, ხალისია, სიყვარულია, ყველგან თოჯინები იცინიან. მშობლები ძალიან კმაყოფილნი არიან და ეს არის მთავარი. ბუნების ჭირვეულობამ გაანაწყენა პატარები. ისე გავიდა ძველი და ახალი წელი, თოვლი არ მოსულა. თოვლი კი არა, შუა ზამთარში ოცი გრადუსი სითბოც კი დაფიქსირდა.

მაინც დიდებული ნაძვისხის ზეიმები ჩაატარეს ცეროდენებმა. ყველა ჯგუფში, სადაც ყველაფერი იყო: ლექსები, ცეკვები, სიმღერები, ნეტარების მომგვრელი მელოდიები. „ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან, გამოდი, გამოდი ახალი წელია!“

აქ უამრავი ნიჭიერი, პერსპექტიული პატარა ფრთიანდება. აი, ბრწყინვალე სამუსიკო დარბაზი, ესთეტიკური ხიბლის მქონე: კუთხეში ზის გოლიათი ბომბორა, ყაზბეგური „ბასარა“ და ავი სულებისგან

იცავს ნორჩებს. ხელოვნების სიყვარულით ზრდიან ცეროდენებს და სულს უფაქიზებენ დამსახურებული მასწავლებელი მუსიკისა **ნანული ჯანუყაშვილი** და ცეკვის პედაგოგი **მაია კიკაჩეიშვილი**.

ეზო ჟივილ-ხივილით მალე აივსება

ყველა სიკეთე, რაც ნორჩებს გადაეცემათ, ძირითადად მაინც მათი აღმზრდელების დამსახურებაა, მათი ღვაწლის შედეგია. ამდენად, დაელოცოთ მარჯვენა დიდად ნაღვაწ პედაგოგს **თეონა ბახტურიძეს**, თანაშემწეს – **ეკა წიქარიშვილს**, გამოცდილ აღმზრდელებს: **ლარისა ხერკელიძეს**, **ნინო ზუბაშვილს**, **ხათუნა ბაზიკიანს**, **ქეთი ხარიტონაშვილს**, **ეკა მუხიგულს**, **შორენა ფანჯარაშვილს**, **ეკა ლაგურაშვილს**, **მარგალიტა როსებაშვილს**. აღმზრდელის თანაშემწეებს: **ნადეჟდა ჯლანტიაშვილს**, **ნინო დოლიძეს**, **ლალი ჩუბინიძეს**, **მედიკო თოიძეს**, **ოლღა ტურაშვილს**, **ნინო ჭოლარიას**, **ლეილა ბერაიას**, **მარი ჯადუმიშვილს**, **ქეთი ფოცხვერაშვილს**, **თეონა გუგეშაშვილს**, **ტატიანა გვილავას**, **თეა ბიგანიშვილს**.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილეს **მაია კობახიძეს**. მთელი საქმიანობის სული და გულია საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ქეთევან სუსუნიაშვილი**.

ირმა მაყაშვილმა მაღალი შეფასება მისცა სამეურნეო ნაწილის გამოცდილი კოორდინატორის **გულნაზ მუხიგულაშვილის** საქმიანობას.

ნორჩების ჯანმრთელობაზე ზრუნავს გამოცდილი ექიმ-ჰიგიენისტი **ლელა ახალაია**. მისი შიშით ვერცერთი ინფექცია ბაღში შემოსვლას ვერ გაბედავს.

ირმა მაყაშვილი ქებით და მადლობის სიტყვებით აღნიშნავს საქმის მწარმოებლის **ნინო გვილავას** აკურატულ მუშაობას.

ბავშვებს (და არამარტო ბავშვებს) ძალიან უყვართ ყუათიანი, არომატული, მადისმომგვრელი კერძები, რომელსაც დიდი ხელოვნებით ამზადებენ მზარეული

მარიამ მერებაშვილი და მისი დამხმარე **მადონა ტაბაღუა**.

პატარების სწორმეტყველებისთვის ბევრს აკეთებს ლოგოპედი **მაყვალა კობიძე**. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ფსიქოლოგ **მაკა მანჯგალაძის** კარგი მუშაობა.

დირექტორმა მონდომებული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა: **ლალი წოწკოლაურს**, **სუსანა ქარაიას**, **დალი მერებაშვილს** (მრეცხავები), **მაკა ჭილაძეს** (დამლაგებელი), **დავით მალანიას** (მუშა), **მანანა მეშველიშვილს** (მეეზოვე), **ოთარ ნადირაშვილს** და **ზურაბ მეტრეველს** (დარაჯები).

ყველას ახალ წელს გილოცავთ. მშვიდობიანი და ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი!

დედის დღე – 3 მარტი ახლოვდება. გაზაფხულის სუნთქვაც ახლოს ისმის. მალე ახალშემოღობილ ეზოს ცეროდენების მხიარული ჟივილ-ხივილი და ომახიანი შეძახილები გაახალისებს.

ზღვა სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ, 143-ე ბაგა-ბაღელებო!

მაია მიშველაძე

ამას ამბობს ხალხი

* * *

ინგა გრიგოლიამ „რეაქციაში“ სასტიკად გააკრიტიკა მაღალჩინოსნები, უშველებელ ხელფასებს იწერთო. საკუთარი თავი რატომ არ გაახსენდა?

შედარება: მასწავლებელი თვეში ატარებს დაახლოებით 72 გაკვეთილ-საათს და მისი საშუალო ხელფასი 300-400 ლარია. ინგა გრიგოლიას კი გადაცემა „რეაქცია“ მიჰყავს 12 აკადემიური საათის განმავლობაში და დაახლოებით ოცდაათჯერ მეტ ხელფასს ღებულობს. პროპორცია-თანაფარდობა მათემატიკის მასწავლებელმა დაადგინოს. ამაზე ხომ არაა ნათქვამი: „სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს, თავისაში – დირესაც არაო?“

* * *

ჟენევის ფორმატით ორასზე მეტი შეხვედრა შეხვედრისთვის ჩატარდა და პუტინთან ერთი შეხვედრა რას დაგვაკლებს? ცდა ბედის მონახევრეაო.

* * *

ვექილს (ადვოკატს) ოღონდ ბლომად ფული ჩაუთვალე და თუნდ კაცის მკვლელი იყოს, მის მამა აბრამის ბატკნად გამოყვანას შეეცდებაო.

ჩამწერი მოსე მწერალი

გთავაზობთ ცნობილი პედაგოგის ორ სონეტს

2. პასუხი სიმართლის მთქმელს

ცაბიელ მუშლაძე

ეჰე! ეცადე, მთთმინება ჩაიგდო ხელში,
თუ გინდა ქვეყნად არ იცხოვრო თხვრით და ხვნეშით,
თუ გაგიჭირდა, აიტანე, ნუ იწუწუნებ!
რაა სიმდიდრე, ამ ცხოვრებას რაღას უწუნებ,
ან რად გრცხვენია, თუ გრცხვენია, იქცევი ცუდად,
წინასწარმეტყველს ხომ, სიმდიდრე ძალიან სძულდა.
გონება მაინც ვიღაცისგან დაგემტვერება,
თუ ღარიბი ხარ, აღარავინ დაგემტერება!
მდიდარი თქრთს სულ დარაგდობს, შიშობს და დრტვინავს,
ღარიბს არაფრის ეშინია და მშვიდად სძინავს.

1. სიმართლის მთქმელი

მას, ვინც მეფესთან სიმართლეს იტყვის,
თანაც განცდისგან ჩამთსდის ხვითქი,
არ სჯერა მეფეს მთნისა სიტყვის,
მის ნათქვამს აზრი არა აქვს თითქმის.
მეფე ტახტზე ზის, ხედავ? – შე ხამთ!
შენ კი შრომისგან გელევა ქანცი.
მას სულ ის უკვირს, სიმართლის გამთ
თავს რატომ იკლავს ალალი კაცი.

რედაქტორი
ნათელა ქიმერიძე

სახალხო განათლება+
№2 (4506)
11 თებერვალი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009